შპს „ჯი ემ ჯი"

„GMG" LLC

თარიღი: 06.07.2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრს ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ შპს „ჯი ემ ჯი" ქ. თბილისში, მდ. მტკვარზე გეგმავს 11,26 მგვტ დადგმული სიმძლავრის კალაპოტური ტიპის ჰესის მოწყობა-ექსპლუატაციას. დაგეგმილ საქმიანობას საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მიხედვით, გავლილი აქვს შესაბამისი საკანონმდებლო პროცედურები. „დიღომიჰესი"-ს პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის N 2-185 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, დეტალური სამშენებლო პროექტის მომზადების პროცესში გამოვლენილი კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება თავდაპირველ პროექტში გარკვეული ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით, კერძოდ: მცირედით შეიცვალა სამშენებლო ბანაკის ადგილმდებარეობა, მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურა და მისასვლელი გზის დერეფანი.

დიღომი ჰესის პროექტში შეტანილი ზემოთ აღნიშნული ცვლილებები, გარკვეულად ცვლის ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობებს, რაც საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, წარმოადგენს სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობას.

წარმოგიდგენთ პროექტში შეტანილი ცვლილებების შესახებ მომზადებულ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

1. სკრინინგის ანგარიში - 1 ნაბეჭდი და ელ. ვერსია CD-დისკზე;
2. საპროექტო ცვლილებების - Shp ფაილები- CD- დისკზე;
3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს „ჯი ემ ჯი"-ს სახელზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი
№ 10190
06 07 2020
1/2/Cb
+ 02 +

პატივისცემით,

გრიგოლ ნატროშვილი
დირექტორი

ქ.თბილისი, 0105 პაოლო იაშვილის 7
ს.კ 404398237
ტელ: 0322181920

office@gmg.ge

7 Paolo Iashvili str. 0105 Tbilisi, Georgia
ID Code: 404398237
Phone number: 0322181920